პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის -------მარტი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4822080149; 21/03/2022) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე თამთა ცხადაძის განცხადების საფუძველზე,მოიჯარის ფინანსური მდგომარეობისა და პანდემიის გათვალისწინებით ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს „ 2.2[2]“ პუნქტი შემდეგი ჩანაწერით: „ 2.2.[2] 2022 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით გადასახდელი 41 470 ლარის საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს 2023 წლის 18 მარტამდე. ზემოაღნიშნულ თანხაზე ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება”.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებულ N10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4822080149**
თარიღი: **21/03/2022**
პინი: **4711**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2022 წლის 18 მარტს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მომართა მოიჯარე თამთა ცხადაძემ განცხადებით, რომელშიც მითითებულია, რომ 2016 წლის 31 მაისს გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის №10 ხელშეკრულება ქ. წყალტუბოში ცივი ტბის მიმდებარედ (ს/კ 29.08.32.295) უძრავი ქონების (№04 რესტორანი 510.0 კვ.მ, რკინა-ბეტონის ნაგებობა №5 164.0 კვ.მ) სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემის თაობაზე. წლიური საიჯარო ქირა შეადგენდას 27 816.0 ლარს. პირნათლად ასრულებდა 2018 წლამდე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. 2019 წლის დასაწყისში სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა დააზიანა რესტორნის დიდი ნაწილი, ასევე, ტბაზე განთავსებული ვერანდა გადახურა, რომელმაც შესაძლებლობა მიმცა ზამთრის პერიოდშიც მომსახურებოდა, როგორც ადგილობრივ ასევე ტურისტულად შემოსულ მოქალაქეებს, ამ კუთხით თანხების მოსაძიებლად ბანკიდან აიღო სესხი. არაერთხელ მოხდა მისი მხრიდან გადმოცემული ქონების გაუმჯობესება და მასზე დღეის მდგომარეობით დაახლოებით 500 000 ლარი აქვს დახარჯული. მოვლა პატრონობით ქონდა ასევე, აღებული რესტორნის მიმდებარედ 1700 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლზეც დარგულია სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, წიწვოვანი მცენარეები და მისი მოვლა პატრონობისათვის დაქირავებული ყავს სპეციალისტი. 2019 წლის მეორე ნახევრიდან ვერ მოხერხდა მის მიერ საიჯარო ქირის გადახდა, ამას ყველაფერს თან დაერთო ქვეყნის მასშტაბით შექმნილი პანდემია (კორონა ვირუსის სახით), რის გამოც იძულებული გახდა რესტორნის ფუნქციონირება შეეწყვიტა დადგენილი რეგულაციებიდან გამომდინარე, თუმცა მაინც ინარჩუნებდა მომსახურე პერსონალს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა მოიჯარის ფინანსური მდგომარეობა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ჩამოაწერა საიჯარო ქირის ძირი თანხა 17 385 ლარი და პირგასამტეხლო 15 078,21 ლარი. ამის შემდგომ გადასახდელი დარჩა 2019 წლის საიჯარო ქირა 20 178 ლარი, საიდანაც გადაიხადა 10001 ლარი, დარჩა 10177 ლარი, პირგასამტეხლო 7141,79 ლარი, 2020 წლის საიჯარო ქირა 17 385 ლარი, 2021 წლის დავალიანება 25 ნოემბრამდე შემოსატანი 6954 ლარი, 2022 წლის 25 თებერვლამდე შემოსატანი 6954 ლარი და დარიცხული

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

პირგასამტეხლო 2581,297 ლარი. ესე იგი დღეის მდგომარეობით გადასახდელია 41 470 ლარი, პირგასამტეხლი 9723,087 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ითხოვს ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებას და დარჩენილი თანხის გადავადებას 2023 წლის 18 მარტამდე, ისე რომ არ მოხდეს პირგასამტეხლის დაკისრება.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს;

2016 წლის 31 მაისს გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის №10 ხელშეკრულება ქ. წყალტუბოში ცივი ტბის მიმდებარედ (ს/კ 29.08.32.295) უძრავი ქონების (№04 რესტორანი 510.0 კვ.მ, რკინა-ბეტონის ნაგებობა №5 164.0 კვ.მ) სარგებლობის უფლებით იჯარით გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად წლიური საიჯარო ქირა შეადგენდა 27 816.0 ლარს და გადაიხდევნება წლის განმავლობაში ოთხჯერ: პირველი შენატანი 6954.0 ლარი ყოველი წლის 25 სექტემბრამდე, მეორე შენატანი 6954.0 ლარი ყოველი წლის 25 ნოემბრამდე, მესამე შენატანი 6954.0 ლარი ყოველი წლის 25 თებერვლამდე, მეოთხე შენატანი 6954.0 ლარი ყოველი წლის 25 მაისამდე. მოიჯარე თამთა ცხადაძე პირნათლად ასრულებდა 2016 წლიდან 2019 წლის მეორე ნახევრამდე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. 2019 წლის დასაწყისში სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა დააზიანა რესტორნის დიდი ნაწილი, ასევე, ტბაზე განთავსებული ვერანდა გადახურა, რისი შეკეთებაც მოიჯარის მიერ მოხდა ბანკიდან სესხის აღებით, არაერთხელ მოხდა მისი მხრიდან გადაცემული ქონების გაუმჯობესება და მასზე ხარჯების გაწევა. 2019 წლის მეორე ნახევრიდან ვერ მოხერხდა მის მიერ საიჯარო ქირის გადახდა, ამას თან დაერთო ქვეყნის მასშტაბით შექმნილი პანდემია (კორონა ვირუსის სახით), რის გამოც იძულებული გახდა რესტორანს ფუნქციონირება შეეწყვიტა დადგენილი რეგულაციებიდან გამომდინარე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა მოიჯარის ფინანსური მდგომარეობა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, მოიჯარეს შეუმსუბუქა ფინანსური მდგომარეობა. 2022 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით მოიჯარის მიერ გადასახდელია 41 470 ლარი, პირგასამტეხლო 2022 წლის 18 მარტის მდგომარეობით 9723,087 ლარი.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით გაითვალისწინოთ მოიჯარის ფინანსური მდგომარეობა, პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა და მოგვცეთ თანხმობა 2016 წლის 31 მაისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის №10 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ, ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს 2.2[2] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი ჩანაწერით: 2022 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით გადასახდელი 41 470 ლარის საიჯარო ქირის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს 2023 წლის 18 მარტამდე. ზემოაღნიშნულ თანხაზე ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.

ასევე, მოგვცეთ თანხმობა მოიჯარე თამთა ცხადაძე განთავისუფლდეს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს 9723,087 ლარის გადახდისაგან.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge